საქართველოს
ეროვნული პლატფორმა

აღმოსავლეთ პარტნიორობის
სამოქალაქო საზოგადოების ფორუმი

პირველი ჯგუფის შეხვედრა

თარიღი: 18 სექტემბერი, 2023 წელი

დრო: 19:00 - 21:00

შეხვედრის ადგილი: Zoom

შეხვედრას ესწრებოდნენ:

1. ლაშა ტუღუში - ლიბერალური აკადემია თბილისი
2. ირინა ფუტკარაძე - საზოგადოებრივი დამცველი
3. ეკა ციმაკურიძე - დემოკრატიის ინდექსი - საქართველო
4. ნათია კუპრაშვილი - ჟურნალისტიკის რესურს ცენტრი
5. გურამ იმნაძე - სოციალური სამართლიანობის ცენტრი
6. ლევან ნატროშვილი - ISFED
7. ნონა ქურდოვანიძე - საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცი
8. ნანუკა ყრუაშვილი - საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცი
9. გიორგი ჩიტიძე - ღია საზოგადოების ფონდი
10. საბა ბრაჭველი - ღია საზოგადოების ფონდი
11. კოტე კანდელაკი - სამოქალაქო კულტურის საერთაშორისო ცენტრი

განსახილველი საკითხები:

- საინიციატივო ჯგუფის მიერ, სასამართლო სისტემასთან დაკავშირებით, მომზადებული საკანონმდებლო ცვლილებების პაკეტის განხილვა

პირველი სამუშაო ჯგუფის შეხვედრა გახნსა და მოდერატორობდა ჯგუფის კოორდინატორი, ლაშა ტუღუში.

სამუშაო ჯგუფის შეხვედრაზე განხილული იყო საინიციატივო ჯგუფის მიერ მომზადებული საკანონმდებლო წინადადება, რომელიც სასამართლო სისტემის რეფორმასთან დაკავშირებით იქნა შემუშავებული ვენეციის კომისიისა და ევროკომისიის რეკომენდაციების კონტექსტის გათვალისწინებით.

საკანონმდებლო ინიციატივა დეტალურად და შინაარსობრივად მიმოიხილეს ავტორებმა: ლაშა ტუღუშმა და ეკა ციმაკურიძემ. მსჯელობა გაიმართა ცვლილებების პაკეტში გაწერილ ინიციატივებზე, მათ მიზნობრიობასა და შედეგებზე. ავტორების განცხადებით, საკანონმდებლო წინადადება ეხმიანება ვენეციის კოისიისა და ევროკომისიის მიერ გამოგზავნილ რეკომენდაციებს. ავტორების განცხადებით, საპარლამენტო უმრავლესობის მიერ საკანონმდებლო წინადადების მიღებისა და მისი მხარდაჭერის შემთხვევაშიც კი ეს არ იქნება სასამართლო სისტემი ძირეული რეფორმა, თუმცა ეს იქნება ცალსახად წინ გადადგმული ნაბიჯი იმ დიდი რეფორმისკენ, რომელიც აუცილებლად უნდა გატარდეს სასამართლო სისტემაში. ასევე ეს იქნება წინ გადადგმული ნაბიჯი რეკომენდაციების შესრულების კონტექსტში, რადგან პირდაპირ ასახავს ვენეციის კომისიის რეკომენდაციებს. სამუშაო ჯგუფის შეხვედრის მეორე ნაწილი დისკუსიის ფორმატით გაიმართა. საკანონმდებლო ინიციატივასთან დაკავშირებით დაფიქსირდა მხარეთა განსხვავებული პოზიციები. არგუმენტირებული მსჯელობით მხარეები წარმოაჩენდნენ საკუთარ პოზიციებს. შეხვედრაში მონაწილეთა გარკვეული რაოდენობა მხარს არ უჭერს აღნიშნული საკანონმებლო წინადადების ინიცირებას პარლამენტში.

უნდა აღინიშნოს, რომ საკანონმდებლო წინადადება პარლამენტში დარეგისტრირდება და მას თან დაერთვება 2 წერილი, ერთი რომლითაც ინიციატორები ითხოვენ მონიტორინგის სამუშაო ჯგუფის შექმნას, რომელმაც უნდა შეისწავლოს ბოლო წლების განმავლობაში განხორციელებული რეფორმების იმპლემენტაციის მდგომარეობა და შეაფასოს სასამართლო სისტემაში არსებული ვითარება. ამ შეფასების საფუძველზე კი უნდა მომზადდეს სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის დოკუმენტი. და ასევე დარეგისტრირდება მეორე წერილი, რომელშიც მოთხოვნილი იქნება სამუშაო ჯგუფის შექმნა კონსტიტუციაში შესატან ცვლილებებთან დაკავშირებით.

ორსაათიანი მსჯელობის შემდეგ შეხვედრა დასრულდა

შეხვედრის მდივანი: ქეთევან ჭურაძე